



საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

ბანკარბულება

2016 წლის 25 ნოემბერი

707


№

თბილისი

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტი.
2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს დაევალოს კანონით დადგენილ ვადებში და წესით ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის წარმოდგენა.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

 ა. მესტვირიშვილი